მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები და მათი გამოყენების პრაქტიკა საქართველოს IX მოწვევის პარლამენტში

დავით ხომერიკი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა გოგოლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს ნინო მატარაძეს
ამავე უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
მაგისტრანტის დავით ხომერიკის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით ხომერიკი

14.06.2024

აბსტრაქტი

განვითარებულ საპარლამენტო სახელმწიფოებში არსებით პრობლემას წარმოადგენს დემოკრატიის დეფიციტი, რომლის აღმოფხვრის გზად, პოლიტიკის მეცნიერები, სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების დონის ზრდას მიიჩნევენ. საქართველოს მსგავს, განვითარებად დემოკრატიებში, მნიშვნელოვანია სამთავრობო კონტროლთან ერთად, განვითარებული იყოს მოქალაქის მიერ საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობის არატრადიციული გზები, რათა დაბალანსებულ იქნას საწყის ეტაპზე მყოფი დემოკრატიული ინტიტუტების თანმდევი საფრთხეები. **ნაშრომის მიზანია**, შეისწავლოს მოქალაქეების მიერ, საქართველოს IX მოწვევის პარლამენტში არსებული საპარლამენტო მექანიზმების გამოყენება და მათი ეფექტურობა. დაადგინოს გააჩნია თუ არა საქართველოს პარლამენტს შესაბამისი მექანიზმები, რომელიც უზრუნველჰყოფს მოქალაქისთვის საჭირო ჩართულობის დონეს, რათა მან შეძლოს სრულფასოვანი მონაწილეობის მიღება საკანონმდებლო პროცესებში. **კვლევა ეფუძნება** პარლამენტიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციასა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში, შეგროვილ მონაცემეთა ბაზებს. **კვლევის შედეგებმა ცხადყო,** რომ საპარლამენტო ჩართულობის მექანიზმების გამოყენება მოქალაქეების მხრიდან მწირია და საჭიროა კონკრეტული რეფორმების გატარება მის წასახალისებლად. **კვლევის შედეგები** საჯარო მოხელეებს მისცემს საშუალებას გააუმჯობესონ საპარლამენტო ჩართულობის მექანიმზები, რათა ისინი მეტად იქნეს მორგებული თითოეულ მოქალაქეზე.

საკვანძო სიტყვები: *მოქალაქეთა ჩართულობა, საპარლამენტო ჩართულობის მექანიზმები, დემოკრატიის დეფიციტი, წარმომადგენლობითი დემოკრატია.*

Abstract

A significant problem in developed parliamentary states is a democratic deficit. as a way to eliminate it, political scientists consider the increase in the level of use of various mechanisms of civil engagement. Moreover, in developing democracies like Georgia, it is important to develop non-traditional ways of citizen participation in the legislative process along with governmental control, in order to balance the inherent dangers of democratic institutions in the initial stage.

The aim of this research is is to study the use of the parliamentary mechanisms and their effectiveness in the IX Convocation Parliament of Georgia and assess the extent of citizen involvement mechanisms within the Parliament of Georgia.

The study is based on public information requested from the Parliament and databases collected by the Institute for the Development of Freedom of Information (IDFI), within the framework of the Open Government Partnership (OGP).

The study results demonstrate a limited utilization of parliamentary engagement mechanisms by citizens, necessitating targeted reforms to encourage greater participation.

The research results will enable civil servants to enhance parliamentary engagement mechanisms, tailoring them more effectively to individual citizens' needs.

Keywords: *citizen participation, participatory mechanisms in parliament, deficiency of democracy, representative democracy.*